

სტუ-ს სამშენებლო ფაკულტეტზე საბაკალავრო პროგრამებზე ჩასარიცხად რეკომენდირებულ პირველკურსელთა სია პროგრამების და რეიტინგების მიხედვით

05-09-2018



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის 2018 წლის 3 სექტემბრის N01-09-10/171 ბრძანების საფუძველზე, აპლიკანტებმა (აბიტურიენტებმა), რომლებმაც სტუ-ის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამებზე, 2018-2019 სასწავლო წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე მოიპოვეს სწავლის გაგრძელების უფლება, რეგისტრაცია უნდა გაიარონ 2018 წლის 5-დან 26 სექტემბრის ჩათვლით, შესაბამის ფაკულტეტებზე.

საბუთები მიიღება 10:00-დან 16:00 საათამდე, ყოველდღე, კვირის გარდა.

„სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი - საქართველოს“ ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამებზე, 2018-2019 სასწავლო წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე ჩარიცხულმა აპლიკანტებმა (აბიტურიენტებმა) რეგისტრაცია უნდა გაიარონ 2018 წლის 5-დან 13 სექტემბრის ჩათვლით, შესაბამის ფაკულტეტებზე.

საბუთები მიიღება 10:00-დან 16:00 საათამდე, ყოველდღე, კვირის გარდა.

რეგისტრაციისთვის საჭირო დოკუმენტაცია:

1. ატესტატი (დედანი და ასლი)
2. პირადობის მოწმობა (დედანი და ასლი)
3. ვაჟებისთვის სამხედრო მიწერის მოწმობა (დედანი და ასლი)
4. 2 (ორი) ფერადი ფოტოსურათი, ზომით 3 X 4 და მისი ელექტრონული ვერსია (CD დისკით)

ფასიან პროგრამებზე რეგისტრაციამდე პირველკურსელებმა უნდა დაფარონ პირველი სემესტრის სწავლების საფასური, ანუ მთლიანი თანხის ნახევარი - 1125 ლარი (თიბისი ბანკში), გადახდის ქვითარი კი უნდა წარადგინონ რეგისტრაციისას.

სტუ-ის საბანკო რეკვიზიტები იხილეთ [აქ](#).

საბუთების მიღება წარმოებს სამშენებლო ფაკულტეტზე, შემდეგ მისამართებზე:

- სამშენებლო ფაკულტეტი - მ.კოსტავას 68; სტუ-ის I კორპუსი, მე-5 სართული, ოთახი 536;
- საკონტაქტო ტელეფონი - 236 43 28